№ 21

კვირა, 9 თებერვალი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 21

კვირა, 9 თებერვალი 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

ოთხშაბათს, 12 თებერვალს ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა

I

უპატრონონი არ იბადებიან

დრამ. 3 მოქმ. როკეტტისა, თარგმ. ნ. გალუსტოვისა.

(ამ პიესას მიღებული აქვს ჯილდო)

II

პირველად ახალი პიესა:

შეცდომა

ვოდ. 2 მოქმ. კნ. ი. ბარათაშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე, კუნდელი და სხ. ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, სვიმონიძე, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი. და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები არავის გაეგზავნება.

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდნევა** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 10—11 ს. ქალითა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

მკურნალი

**მიხეილ გედევანიშვილი.**

დილით 11-დგან 1 საათამდე, საღამოთი 6-დგან 7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 29, სახლი პაპოვისა. (5—71—3)

ტფილისი, 8 თებერვალი

ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავრობას ერთი ჩვენთვის ფრიად გასახარებელი და საბედნიერო აზრი მოსვლია და ამ ამბის მომტანს სწორედ სამახარობლო ერგება ჩვენგან. აწ განსვენებულს მთავარ-მართებელს ბ-ნს შერემეტიევს თვისს უუქვეშევრდომესს მოხსენებაში აღუნიშნავს სხვათა შორის განწირული ყოფა-ცხოვრება ჩვენის თავად-აზნაურობისა. მართლადაც, სიღარიბე და შეუძლებლობა ამ წოდებისა იმოდენად ძლიერია, რომ თავად-აზნაურობას ღონე არა აქვს თავისის ადგილ-მამულის შემოსავალი განადიდოს და მით სული მოიდგას. ამის მიზეზი ყველაზე უწინარეს ის არის, რომ ცოდნა არარის, რა გზით და როგორ მოუარონ მამულს, რა გვარად შეუწყონ ხელი, რომ მამულის უკეთესად მოვლით და შემუშავებით მეტი ღონე მოიცენ. სიღარიბე ვერ აზრდევინებს, ვერ ამზადებინებს შვილებს, რომ შვილი სჯობდეს მამასა და ეს წოდება უკან და უკან მიდის ქონებითაც და გონებითაცა. ეხლა უცოდინარი მშრომელი უხორთუმო სპილოა, უბრჭყალო ლომია არსებობისათვის ბრძოლაში, უფარ-ხმალო მეომარია და რაც გინდ ვაჟ-კაცი იყოს, დამარცხებულია და ძლეული.

ამის გამო განსვენებულ მთავარ-მართებელს დაუსახავს, რომ ერთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი საქართველოში დიდს შემწეობას მისცემს აქაურ თავად-აზნაურობასა, რომელსაც ეგრე ენატრება ერთობ სწავლა-ცოდნა და სამეურნეო განსაკუთრებითაო. მინისტრთა კამიტეტში მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, როცა ამ საგანზე ლაპარაკი და მსჯელობა ჰქონიათ, მეტად გულმტკივნეული სიტყვა უბძანებია ჩვენდა სასარგებლოდ და ამით გაუთავებია, რომ სასურველია, რომ მთავრობამ ამ მხრით შემწეობა რამ აღმოუჩინოს იქაურობასაო.

ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიტტე თანაგრძნობით მიჰგებებია დიდის მთავრის მიერ ნაბრძანებს და თავისის მხრით დაუძენია, რომ იგი მოიპოებს ფულის ღონისძიებას საქართველოს თავად-აზნაურთა შვილების სწავლა-განათლებისათვის. მინისტრთა კამიტეტს დაუდგენია, რომ აქაურს მთავრობას ეცნობოს ყოველივე ეს და ეკითხოს: რაოდენად საჭიროა აქ გაძლიერდეს თავად-აზნაურთა შვილებისათვის სწავლა-ცოდნის ღონისძიებანი და ეს საჭიროება რამოდენა ხარჯს მოითხოვს. მთავარ-მართებლის კანცელარიას ეს კამიტეტის განაჩენი გარდაუცია გუბერნატორისათვის და უთხოვნია თქვენი აზრი გვაცნობეთ ამ საგანზეო. გუბერნატორს თავისის მხრით მოუკითხნია აზრი ჩვენის გუბერნიის მარშლისაგან.

მერე? იკითხავთ. მერე ისა, რომ ბ-ნს გუბერნიის მარშალს არც უციებია, არც უცხელებია და პასუხი უკვე მიუწერიაო, გვიამბო ამ ამბის მომტანმა.

„როგორ?" უეცრად შემოგვბღავლა ერთმა იქ მყოფმა დარბაისელმა ქართველმა: „უმაღლესმა მთავრობამ მოწყალეს თვალით გადმოგვხედა, მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა გულმტკივნეულად მოიწადინა ჩვენი ხსნა, ფინანსთა მინისტრმა არ დაიშურა ჩვენს ხსნას ხელი შეუწყოს და სახსარს იძლევა ჩვენის შვილების განათლებისა და სწავლა-ცოდნისათვის და რომ ჩვენს სატკივარს, ჩვენს ჭირს და ვაგლახს სიგძე-სიგანე ჭეშმარიტად გაეზომოს და ზედ გამოიჭრას მართალი და უებარი წამალი,—ჩვენვე გვეკითხებიან, და ჩვენ-კი ამაებისა არც არავინ რა შეგვატყობინა, არც არავინ არ დაგვეკითხა და აიღეს და ჩვენ მაგიერ პასუხიც-კი გაჰგზავნეს! ეს დიდად სასურველი და დიდად სანატრელი საქმე განა იმისთანა რამ არის, რომ კანცელიარულად წავიდწამოვიდეს! თუ მთავრობას არა სურვებოდა ჩვენის თავად-აზნაურობის აზრის შეტყობა ამ დიდის საგნის შესახებ, ბ-ნს გუბერნიის მარშალს რად დაეკითხებოდნენ? და თუ ესეა, ჩვენ მაგიერ ვინ მისცა პასუხი, ან ვის შეეძლო მიეცა ჩვენდა დაუკითხავადაო! გამიგონია, რომ ერთს დროს, რომელიც წავიდა და ღვთის წყალობით აღარ მოვა, ბატონი ყმის მაგიერ იძლეოდა პასუხს და ჩვენ ვინ გადაგვაქცია ხმა ამოუღებელ ყმებადო!..

„ამისთანა მძიმე, ღრმად მოსაზრისი, მრავალ-მნიშვნელობიანი საქმე ამ საუკუნეში, არა მგონია, სხვა ბევრი გაგვჩენოდეს და ესეც კანცელიარულად ჩავაფუჩეჩეთო! განა ეს იმისთანა საქმე არ არის, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი წინ წაწევა, წარმატება ქონებით, თუ გონებით, ჩვენი აღმატება, ჩვენი გაძლიერება, ჩვენის შვილების სვე-ბედი და, მაშასადამე, მთელი ჩვენი მერმისი, მთელი ჩვენი სასოება ხვალინდელ დღისა, მთელი ჩვენი ავი და კარგი, მთელი ჩვენი ცხოვრება და სულდგმულობაო! აიღეს ეს დიდი საქმე და თავად-აზნაურთა დაუკითხავად, მის მიერ გაურჩევლად და განუსჯელად გადასწყვიტეს და პასუხიც გაჰგზავნესო! არც-კი გვატყობინებენ რა პასუხი მისცეს ჩვენ მაგიერაო! ეს რა ამბავი მოდის ჩვენს თავსაო! ცხვრები ვართ, თუ რა ჯანაბაა, რომ ასე გვექცევიან ჩვენებივეო! აღარაფრად მივაჩნივართო! ვყრივართ სადმე თუ არა, აღარავის ვაგონდებითო! სადაურია? გაგონილაო?" იძახდა გულ-გახეთქილი, გამწარებული დარბაისელი კეთილშობილი.

სადაურიაო? აქაურია, ჩვენებური, ქართველური! გაგონილაო? გაგონილაზედაც მეტია: ჯერ მოიცადეთ, ღმერთი მოწყალეა, ბევრს კიდევ სხვას გაიგონებთ.

## მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომელესის მოხსენებისამებრ, 25 იანვარს უოვლად უმაღლესად ჰბრძანა: ორმოცდა-ათის წლის სამსახურისათვის წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენი ებოძოს ქ. ტფილისის ანჩისხატის უოვლად წმ. ღვთის მშობლის ტაძრის დეკანოზს აბრამ უთნელიშვილს.

ხარისხი ებოძათ: სათადარიგო ჯარში დათხოვნილს ფოთის რეზერვის რაზმის უნტერ-ოფიცერს ზურაბიშვილს სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკობა.

დანიშნულ იქმნენ: ზაშკადიკლარის რეზერვის ბატალიონის შტაბს-კაპიტანი გრიგოლია—ორდუბათის ადგილობრივ რაზმის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

ქუთაისის გიმნაზიის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი სტატსკი სოვეტნიკი კოლიანკოვსკი—ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ინსპექტორად; ნიკოლოზ კურბატოვი—სუხუმის სამთო სასწავლებლის მასწავლებლად და ნიკოლოზ გაუსმანი—ტფილისის რეალურ სასწავლებლის ზუსტბრივ ისტორიის მასწავლებლად.

## ახალი ამბავი

*** დღეს, კვირას, 9 თებერვალს, ავჭალის ქუჩის უფასო სასადილოში ექიმი ხუდადოვი შავის ჭირის და იმის თავიდგან ასაცილებელ ღონისძიებათა შესახებ ლექციას წაიკითხავს უსასყიდლოდ.

*** გაზ. „ტფილისის ფურცელს" პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ კავკასიის მთავარმმართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე თებერვლის დამლევს გამოემგზავრება ტფილისსაო.

*** როგორც მიხეილის სამოქალაქო საავადმყოფოს ანგარიშიდამა სჩანს, ამ საავადმყოფოში ამ დროებით 21 საოფლეთი ავადმყოფია და მხოლოდ 5 თავისუფალი ადგილი-ღა დარჩენილა. ახალი შემთხვევა საოფლეთი ავად გახდომისა, როგორც საექიმო სამმართველოს ცნობებიდგანა სჩანს, მხოლოდ ორი ყოფილა. ერთი შემთხვევა ყოფილა სულით ავადმყოფთა განყოფილებაში და მეორეც ბაზრის ქუჩაზედ, მაიერის დუქანში.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება გასცა, რომ რკინის გზის სახელოსნოში დაუყოვნებლივ სამი სადეზინფექციო კამერა გაკეთდეს სწორედ ისეთი, როგორიც ხოლერობის დროს იყო გამართული გზებზე. ამასთანავე ნაბრძანებია, რომ 10 დიდი პულვერიზატორიც დაამზადონ.

*** გაზ. „ს.-პეტ. ვედ."-ის სიტყვით, ბაქოსა და ბათომში მართლმადიდებელ ეკკლესიათა დასამთავრებლად ხაზინას მიუცია ამ ქალაქებისათვის 119,188 მან.

*** რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოება, გაზ. „ნოვ. ვრ."-ს სიტყვით, მომავალს ზაფხულს მეფუტკრეთა კრებას გაჰმართავს თურმე ტფილისსა, ეკატერინოდარსა და კავკავში. ამ კრებასთანვე იქმნება გამართული ადგილობრივი გამოფენა მეფუტკრეობისა,

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფო ისე გავსებულია ავადმყოფებით, რომ ახლად მისულს ყველას უარს ეუბნებიან. მაგალითებრ, 6 თებერვალს 18 კაცისათვის უთქვამთ უარი. ნუ თუ დრო არ არის, ქალაქის სხვა საავადმყოფოსათვის იზრუნონ და ამოდენა ავადმყოფთ შეძლება მისცენ თავ შესაფარის პოვნისა. დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მუშათა საავადმყოფოს დაარსება, მაგრამ ეხლა რა მოუვიდა ამ საგანს, არავინ უწყის.

*** მიწათა მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში განუზრახავს რუსულსა და სხვა ადგილობ-

რივს ენებზედ გამოსცეს მოკლე დარიგებანი ზოგიერთ ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენების შესახებ კავკასიაში. („კავკ.“).

*** ბათუმი. ამ დღეებში კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზისათვის მიიღეს რკინის ხიდი საფრანგეთის ცნობილი ინჟენერის ეიფელის სისტემისა. ამბობენ რომ მარტო ბაჟი ამ ხიდისა 12.000 მანეთს უდრისო.

*** როგორც განათლების სამინისტროს სასწავლებელში, აგრეთვე საეროთ სამასწავლებლო სემინარიებში განუზრახავთ დააარსონ ხელ-საქმის მუზეი, რომელშიაც სხვათა შორის შეკრებილი იქნება ხელ-საქმე შვეციის სახელოსნო მოსწავლეთა ფინლიანდიისა და დანიის სასწავლებლებისა, რომლებშიაც ხელ-საქმე სავალდებულოდ არის მიღებული.

*** გაზეთ „კავკაზს“ ბათუმიდგან სწერენ, რომ ამ დღეებში კუნძულ ცეილონიდან დაბრუნდა საუფლისწულო მამულების ექსპედიციის წევრი ბ-ნი სნეჟკოვი, რომელიც გაზგავნილი იყო ჩინეთს, იაპონიას და ინდოეთში ჩაისა და სხვა მცენარეთა მოვლა მოშენების საქმის შესასწავლად. ბ-ნ სნეჟკოვმა მოიტანა თან ჩინეთისა და კუნძულ ცეილონიდგან ჩაისა და სხვა მცენარეები, რომელთა თესლიც დაუყოვნებლივ გაიგზავნა ჩაქვის მამულში დასათესად. ბ-ნმა სნეჟკოვმა მოიყვანა აგრეთვე ჩინელი ამ მცენარეთა ხელის მცოდნე მუშებიო.

*** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა საჭიროდ დაინახა რა კარგის ღირსების ბამბის თესლის გავრცელება კავკასიაში, განკარგულება მოახდინა, საუკეთესო ღირსების ბამბის თესლი, იმიერ-კასპიის მხრის ოლქებიდგან გამოწერილი უფასოდ და გაიაფებულის ფასით შემდეგის პირობებით იყიდებოდეს: ის 1,800 ფუთი ბამბის თესლი, რომელიც დეპარტამენტს აქვს, ნახევარი უნდა უფასოდ დაურიგდეს პლანტატორებს, უმეტეს ნაწილად გლეხებს და წვრილმან მესაკუთრეებს, ხოლო 3-ფუთზედ მეტის ყიდვის ნება არავის არა აქვს, იმ პირობით-კი, რომ დეპარტამენტს წარუდგინოს ცნობები დათესის შესახებ. დანარჩენი თესლი-კი ფუთი 50 კ. გაიყიდება.

*** სოფ. მხეფი. (სენაკის მაზრა): მოგვშორდა წარსული ძუნწი და გაუმეტებელი წელიწადი. წყეული იყოს მისი ხსენება ამიერიდგან უკუნისამდე. ბევრი შრომა და ტანჯვა გამოგვატარა და ბოლოს-კი მოლოდინი გაგვინიორწყალა. ჭირნახული უწიდებურად არ მოგვსვლია, თუმცადა პირველში გვარიანი იყო. ღვინო ხომ სახიარებელიც არა ყოფილა და ერთის სიტყვით, წარსული წელიწადი საზოგადოდ ვერაფერი მოსავლიანი იყო. ამ ბოლოს დროს აქეთ სხვადა-სხვა მოარული გავრცელდა. უფრო-კი სურდო-ხველამ გააჭირა საქმე. ბევრია ამ ჟამად ლოგინად ჩავარდნილი. 25 იანვრიდგან ბუნებამ ფერი იცვალა. დრო გამოშვებით თოვლ-ჭყაპია და ქარ-ბუქი.

*** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): ამას წინად აქ ერთი ღრმად მოხუცებული კაცი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ ასის წლისა იყო თურმე. განსვენებული ისეთი მარდი და ცქვიტი იყო, რომ ხეზედ ადვილად ადიოდა და ჩამოდიოდა; არც სმენა აკლდა და არც მხედველობა. როდესაც მიცვალებული ეზოდგან გამოასვენეს, მისმა ჭირისუფლებმა განსვენებულს თავის ხელით გატენილი თოფი გაასროლინეს. თურმე ჩვეულება ყოფილა, როდესაც ერთ გვარში ხნიერი კაცი მოკვდება, ასე უნდა მოიქცნენ.

*** იქიდამვე: თებერვალი ცუდის ამინდებით დაგვიდგა. სიცივეები საკმაოდ დაიჭირა. ბუნება დღეში ასჯერ იცვლება..

## შავი ჭირი

უმაღლესის ბრძანებით, გენ.-ლეიტენანტს ვასმუნდს მიენდო ნოვოროსიისკიდგან მოკიდებული შავის ზღვის ნაპირებს, ოსმალეთისა და სპარსეთის სამზღვრებს და აგრეთვე კასპიის ზღვის ნაპირებს თვალ-ყური ადევნოს, რათა, საჭიროებისდა მიხედვით, შავი ჭირის წინაამდეგ ღონისძიებანი იხმაროს.

—

კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება გასცა, რომ ყველა მწვანე ჩაით დატვირთული ვაგონი, რომლებიც ბაქოში მივა, დეზინფექქციაში გაატარონ. ამ გვარი განკარგულება კავკასიის მთავარმართებლის სახელობაზე მოსულს პრინც ოლდენბურგსკის დეპეშას გამოუწვევია. პრინცი თავმჯდომარეა იმ კამისიისა, რომელსაც დავალებული აქვს შავის ჭირის წინაალმდეგ ბრძოლა. დეპეშაში ნათქვამია, რომ მწვანე ჩაის გადატანა შეჩერებულ უნდა იქმნას და ის ვაგონები, რომლითაც ჩაი გადაჰქონდათ დეზინფექციით უნდა გასუფთავდესო. ამასთანავე შემდეგი ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებულიო:

1) ახალ განკარგულებამდის შეჩერებულ იქმნას მწვანე ჩაის დაცლა ბათუმში; 2) ბათუმში გამოტანილი მწვანე ჩაი ცალკე უნდა დაიწყოს და დარაჯი იქმნას დაყენებული; 3) თუ ბაქოსაკენ მიაქვთ ჩაი და გზაშია, ბაქოში უნდა მიტანილ იქმნას და განკერძოებული; 4) რკინის გზაზედ ამ საქონელს არავინ არ უნდა მიეკაროს; 5) იმ კაცს, რომელიც ამ საქონელს მიჰკარებია, ექვსი დღის განმავლობაში ექიმმა თვალ-ყური უნდა ადევნოს. თუ ამ კაცს რაიმე საეჭვო ავადმყოფობა გამოაჩნდა, მაშინვე უნდა განკერძოვდეს სანამ გამოირკვევა, რა სენიცა აქვს, და 6) რადგან ეს ღონისძიება მუშაობის სახსარს მოუსპობს, ამიტომ ამ მხრივად უნდა შეევსოს ზარალიო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, ექიმი დობრინსკი გაიგზავნება თეირანში რუსეთში შავის ჭირის შემოტანის წინაალმდეგ საშუალებათა მისაღებად.

## ქალაქის საბჭოს კრება.

7 თებერვალი

9 საათზედ თავ თავიანთი ადგილი დაიჭირეს გამგეობის წევრებმა; ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ იყო. ხმა მოისმა: „გადით, დაუძახეთ ხმოსნებს“! საქმის მწარმოებელი გავიდა და ისევ უკანვე დაბრუნდა; ხმოსნები-კი ვერსად ეპოვნა. კიდევ გაისმა ხმა—„გამგეობის ოთახებში იქნებიან, გადით, დაუძახეთ!“ საქმის მწარმოებელი ხელმეორედ გავიდა და ეხლა-კი ძლივს რამდენიმე ხმოსანი შემოიყვანა და შეუდგნენ საქმის განხილვას. წარსულ კრებაზედ გამგეობის მოხსენების მერვე მუხლის გარჩევაზედ შეჩერდა საბჭო.

ა. ა. ივანენკო (კითხულობს მე-8 მუხლს). საკლავ საქონლის ბაზარი ეხლანდელ ადგილიდგან საყასბოს ახლოს უნდა იქმნას გადატანილი. ამისთვის მოგვინდება 4,000 მან.

საბჭომ შეიწყნარა ეს მუხლი.

ბ-ნი ივანენკო. (კითხულობს მე-9 მუხლს) ღონისძიებანი იქმნას მიღებული საყასბოს გასასუფთავებლად. ამისთვის საჭიროა 10,680 მან.

ხმ. ხუდადოვი. ჩვენ ახალი საყასბო უნდა ავაგოთ. თუ ეს ჩქარა მოხდება, ახლა რაღასთვის გადავყაროთ ამოდენა ფული. ამ ჟამად რაც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს საყასბოსთვის, ის გავაკეთოთ, ხოლო დანარჩენს ჯერ თავი დავანებოთ.

ა. ხოსროევი და თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ახალი საყასბო 2 წელიწადზედ ადრე არ იქმნება. ეხლა-კი ძლიერ დიდი შიში მოგველის. საყასბოს გაუსუფთავებლობა ყოვლად შეუძლებელია. ბ-ნმა ხუდადოვმა რომ თავის თვალით ნახოს ჩვენი საყასბო, ხმა ამოუღებლივ დაგვეთანხმება. შავის ჭირისაც რომ არ გვეშინოდეს, მაინც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საყასბოს გასუფთავება. საშიშარს მდგომარეობაშია ის ქოხ-მახები, საცა ღორებსა ჰხოცვენ და უფრო სიბინძურეა საქონლის სახოც ადგილას: ერთი არშინის სისქეზედ გასჯდომია სისხლი დედამიწას.

# ფელეტონი

—

## არაქსის ცრემლები.

რაფიელ პატკანიანისა

აწ მიძინებულს შენს კიდეებზედ
დავალ, არაქსო, თვალ-ცრემლიანი;
ოცნებით ვირდგენ შენს დროს დიდებულს
და მენატრება ის დრო სვიანი...
მაგრამ ზვირთნი-კი აღქაფებულნი
ყურს არ მიგდებენ, ადივ-დადიან;
ხან ეხლებიან ღრიალით ნაპირს
და შორს, შორს, სადღაც მიისწრაფიან...
მითხარ, არაქსო, ვისთვისა სტირი,
ვისთვის ღვრი ეგრე მდუღარე ცრემლებს?
და მაშინაც-კი რად ხარ მოწყენით,
როს გაზაფხული ამკობს შენს ველებს;
როს ამპარტავან თვალებიდამა
ნაკადულადა ცრემლს ღვრი მდუღარეს,
შენი ზვირთები ზღვისკენ მიდიან
და შორდებიან სამშობლო მხარეს?
ოხ, ნუ, ნუ ამღვრევ სიბრაზით წყალსა,
დასთმევი ღელვა და მწუხარება!
ნუ მირბი ზღვისკენ, გზა შენი იქით
მოკლეა, ვითა ბედნიერება!..
დაე კვლავ ვარდნი გადაიშალონ
შენის ბაღების დასამშვენებლად
და ბულბულმაცა მორთოს გალობა
მდუმარე კიდეთ გასაღვიძებლად!
დაე ტირიფმა მდინარეზედა
ნაზად დახაროს თვისი ტოტები,
რომ შეწუხებულს სიცხით მის ფოთლებს
განაგრილებდნენ ცივი ტალღები!
დაეხსენ, მწყემსი თვის სალამურით
შენს კიდეებზედ მიმოვიდოდეს
და საქონელიც სიცხისა დროსა
წყალის სასმელად ჩამოდიოდეს!..
გასწყრა არაქსი, აქაფდა წყალი,
მთლად აღელვა ქარმა მდინარე,
ამ დროს მომესმა ხმა საზარელი,
ყური დავუგდე, შეძრწუნდა არე:
„მაგ უგუნურის სურვილ-იმედით
რისთვის მოსულხარ ჩემთან, ჰე კაცო?
ნუ თუ გინდა, რომ ძილში წასული
ტკბილის ოცნებით კვლავ გამიტაცო?
„როდესაც ქალი მწუხარებითა
დასტირის ქმარსა ტკბილ სანეტაროს,
განა მას ისე მორთულსა ჰნახავ,
როგორიც იყო პატარძლობის დროს?
„მეც ვილასთვისა უნდა მოვირთო,
ჩემი სიტურფე ვის, ვის დაატკბოს?
ჩემი შვილები მთლად ტყვედ არიან,
მძლავრი მტერი-კი ყველგან პარპაშობს.
„იყო დრო, როს მე წმინდა წყლით ვრწყამდი
ამ თავისუფალს დიდებულს მხარეს,
ზვირთსა-ზვირთზედა მივაქანებდი
და ვუერთებდი ზღვასა მღელვარეს.
„იმ დროს მეც ტურფად ვიმოსებოდი,
მოკამკამებდა წყალი მჩქეფარი...
როცა მტრედის ფრად ირაჟრაჟებდა
მის ზვირთებშია ჰკრთოდა ცისკარი...
„აწ სადღა არის ძველი დიდება,
მაშვენი ჩემის კიდეებისა?
სად არს ტაძარი, ციხე-დარბაზი
და ბრწყინვალება ქალაქებისა?
„მხოლოდ არარატს არ ავიწყდება
გამქრალი ჩემი ძველი დიდება,
თვის წიაღიდამ ცივს წყალს მიგზავნის
და ვით დედა შვილს მეალერსება.
„მაგრამ ამ წმინდა ანკარა წყლისა
ღირსნი არიან იგი მდელონი,
სადაც აწ ჰკვნესის ძველი ქვეყანა
და მძვინვარებენ თურქ-ოსმალონი?
„ჩემი შვილები აქ აღარ მყავანან,
უცხო ქვეყნებში გადაქსაქსულან,
ლუკმა-პურისთვის მედგრად იბრძვიან
და სხვის მონებად გადაქცეულან.
„ჩემი შვილები მტერმა გაჰფანტა,
მონების ჯაჭვი სამშობლოს აღრჩობს
და მათ მაგივრად ჩემსა მდელოებს
ეხლა ურწმუნო ხალხი ჰპატრონობს!..
„ნუ თუ ამ მტრისთვის ჩემსა კიდეებს
კვალად შევამკობ ყვავილებითა,
რომ თვის მხეცური თვალი დაიტკბოს
ჩემის სიტურფით, მშვენიერებითა?
„ვიდრე შვილები მონებად მყავანან
და მოკლებულნი სამშობლო მხარეს,
წმინდა აღთქმას ვდებ: არც დღე, არც ღამე
თვალთ არ შევიშრობ ცრემლსა მდუღარეს.“
სდუმდა არაქსი... გაბრწყინდა წყალი...
გულს ჩაიმარხა მწარე ფიქრები
და დამონებულ ქვეყანიდამა
შორს, შორს წაიღო ზღვისკენ ტალღები...

ი. ზაქრაძე

## ის მესამეა

ჰენრიხ სენკევიჩისა

### XVII *)

დილის ათს საათზედ გავიქცეოდი ევასთან, მაგრამ არ შეიძლება: სტუმრები მეყოლება.

ბარონი კარტოფლერი შემოვიდა და ჩემის „ურიების“ ასლი შემომიკვეთა. 1500 მანეთი შემომაძლია, მე 2,000 მან. ვთხოვე და დამთანხმდა.

იმის წასვლის შემდეგ ტანცენბერგისაგან მივიღე წერილი, ორი სურათი მომიმზადეთო. სვიატეცკი, დიდი მოძულე ებრაელებისა, ურიას მეძახის, მაგრამ ნეტავ ერთი ვიცოდე, ვინა ჰყიდულობს ხელოვნების ნაწარმოებს, თუ არ ფულიანი კაცი. თუ ფულიანს ხალხს სვიატეცკის „მძოვრებისა“ ეშინიანთ, რა ჩემი ბრალია?!

ევასთან მხოლოდ პირველ საათზედ მივედი, ნიშნობის ბეჭედი მივუტანე და გამოვუცხადე, რომ ქორწილის შემდეგ რომში უნდა წავიდეთ-მეთქი.

ევა სიხარულით დამეთანხმა და გუშინ თუ გაჩუმებულები ვიყავით, დღეს ლაპარაკის მადაზედ მოვედით.

ვუამბე დღევანდელ მუშტრების ამბავი და ერთად ვსიამოვნებდით. სურათებს აქვე გავათავებ, კარტოფლერისათვის „ურიებს“-კი რომში დავხატავ-მეთქი. მერე ვარშავაში დავბრუნდებით, სახელოსნოს გავმართავ და ისე ვიცხოვრებთ, როგორც სამოთხეში, დავაწყეთ მე და ევამ.

ვეფიცები ევას, რომ გუშინდელი დღე უნდა ვიდღესასწაულოთ-მეთქი ჩვენს სიცოცხლეში, მაგრამ იმან თავი ჩამალა ჩემს გულში და მითხრა, მაგისას ნუღარას მეტყვიო. მერე ყელზედ მომეხვია და სთქვა: „ჩემო ნიჭიეროო“. ევა დღეს ცოტა გაცრეცილია, მაგრამ მთელი მისი არსება სიხარულითა ცახცახებს.

ოჰ, რა ვირი რამ ვიყავი! ვიცნობდი ამ დედაკაცს და სხვაგან-კი ვეძებდი ბედნიერებას, ისეთს ხალხში, რომელიც ჩემთვის უცხო იყო და სადაც მეც უცხოდა ვგრძნობდი ჩემს თავს!

რა ნაირადა აქვს გამჯდარი ევას არტისტის ქალის ჩვეულებანი. იგი მალე შეეჩვია თავის ახალს როლს ახალგაზდა და ბედნიერ დანიშნულ ქალისას. მაგრამ ეს დანაშაულობად არ ჩაეთვლება, რადგანაც სცენაზედ ჰმოღვაწეობს.

სადილს უკან ელენე კოლჩანოვსკაიასთან წავედით. ევამ თავისს საქმროდ გამაცნო. ელენემ რომ გაიგო ესა, ძალიან კარგად დაგვიხვდა და დიდად ესიამოვნა ევას ბედნიერება. ბავშვებსავით ვიცინოდით, გუშინ ოსტშინსკის მოკვლა მინდოდა, დღეს მიკვირდა იმისის გონების სიმახვილე.

ელენე ისე იცინოდა, რომ თვალები ცრემლებით აევსო. სხვათაშორის, ის დღეს უფრო მშვენიერი მეჩვენა.

გამომშვიდობების დროს თავი რომ დაიხარა, თვალები ძლივს მოვაშორე.

პირობა დავდეთ, რომ როცა საზღვარ-გარეთიდგან დავბრუნდებოდი ელენეს სურათი უნდა დამეხატა. მაგრამ ჯერ ევას სურათი უნდა გავათავო, თუ-კი მოვახერხე.

მოვახერხებ, ან რატომ არ უნდა მოვახერხო?

### XVIII

„მფრინავ ფურცელმა“ სალამოზედ დაბეჭდა ახალი ამბავი, რომ მაგურსკის ახალი სურათები შეუკვეთესო ამა და ამ ფასადაო. ჩემი შემოსავალი ათი-ათასობით იყო ნაანგარიშევი.

შეიძლება ამითი აიხსნებოდეს კა-

*) იხ. „ივერია“, № 13, 14, 16, 17, 18 და 20.

საბჭომ ეს მუხლიც შეიწყნარა.

ბ-ნი ივანენკო. (კითხულობს მე-10 და 11 მუხ.) მეტი ყურადღება მიექცეს ბაზრებში სანოვაგეთა ავ-კარგიანობას. ეხლავე იქმნას დაქირავებული სამი ექიმი და სამი ფერშალი 4 თვის ვადით. ამას მოუნდება 2,220 მან.

ხმ. შახ-აზიზოვი. ჩვენ ეს კრედიტი დავამტკიცოთ და როცა საჭიროება მოითხოვს, გამგეობამ მაშინ დახარჯოს. ხოლო ექიმებისა და ფერშლების დაქირავება ეხლავე საჭირო არ არის.

ა. ს. ბაბოვი. ექიმები ეხლავე უნდა იქმნას დაქირავებული, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბაზრებს ადევნონ თვალ-ყური.

ხმ. ექ. კართანოვი. ექიმები უნდა იქმნას დაქირავებული, მაგრამ ექიმთა შორის შრომა ასე უნდა განაწილდეს: სამი ექიმი ავადმყოფებს უნდა სინჯავდეს და სწამლობდეს, ხოლო ქალაქის გამგეობის ექიმებმა მხოლოდ სანოვაგეთა ავ-კარგიანობას და ქალაქის სისუფთავეს უნდა მოანდომონ თავიანთი შრომა.

ხმ. ექიმი ხუდადოვი. ექიმების ამ ჟამად მოწვევა საჭირო არ არის. თუ მართლა გაჩნდა შავი ჭირი, არც ისე ღარიბია ჩვენი ქალაქი ექიმებით; ტფილისში 200-დის ექიმია და ისინი უთუოდ უწამლებენ ღარიბ ხალხს მუქთად, როგორც ამას ბევრი ექიმი აქამდისაც სჩადიოდა.

გამგ. წევრი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი. როგორ და რა წესით უნდა იქმნას განაწილებული შრომა ექიმთა შორის, ამის შესახებ აქ ლაპარაკი არ უნდა აღიძრას. ეს სააღმინისტრაციო საგანია და გამგეობის მოვალეობას შეადგენს. თუ ტფილისს შავი ჭირი ეწვია, იმდენი ექიმი როდი იქნება მაშინ, რამდენიც ექიმ ხუდადოვს ჰგონია; იმათი რიცხვი შემცირდება, რადგან ბევრს იმათგანს ტფილისიდგან სხვაგან გაჰგზავნიან — მაგალითად იმიერ-კასპიის მხარეში. ამას გარდა, თუ ექიმები ეხლავე არ დავიქირავეთ, შემდეგ ველარ ვიშოვით და თუნდა ვიშოვოთ, თვეში 150 მან. არ წამოვლენ, უფრო მეტს მოითხოვენ.

შემდეგ ბ-ნ აბგარ იოანესიანის მშვენიერისა და რიხიანის სიტყვისა, რომ გამგეობის წინადადება უთუოდ შეწყნარებულ იქმნასო, საბჭომ შეიწყნარა იგი.

ბ-ნი ივანენკო.(კითხულობს მე-12მუხ.) იჯარით აღებულ იქმნას ერთ-ერთი აბანო ღარიბთათვის მუქთად დასაბანავად, რისთვისაც საჭიროა 800 მან.

ხმ. აბ. იოანესიანი. როგორც ხოლერობის დროს, შეიძლება ეხლაც ზოგიერთ აბანოს პატრონებმა მუქთად დაგვითმონ ღარიბთათვის აბანო.

ხმ. შახ-აზიზოვი. კარგი, ვთქვათ დავიქირავეთ აბანო, მაგრამ ბანაობა რას უშველის, ნაბანოევს ხომ ჭუჭყიანი საცვალი უნდა ჩაიცვან?! (სიცილია!).

საბჭომ გამგეობის მოხსენება შეიწყნარა.

ბ-ნი ივანენკო.(კითხულობს მე-13 მუხ.) ღარიბ უბნებში მცხოვრებთ მუქთად მიეცეთ წყალი. ამისათვის საჭიროა 1,000 მან.

საბჭომ ეს მუხლიც შეიწყნარა.

ბ ნი ივანენკო.(კითხულობს მე-14მუხ.) გაიმართოს ლექციების კითხვა და გამოიცეს რუსულსა და ადგილობრივს ენებზედ წიგნაკები. ამისთვის უნდა გადიდვას 500 მან.

ამ მუხლის დამტკიცების შემდეგ, ა. ა. ივანენკო შეეხო მე-15 მუხ. და სთქვა, რომ გამგეობამ მოსკოვში პროფესორს ბ-ნ გაბრიჩევსკის და პარიზში ბ-ნ რუს გაუგზავნა წერილიო. გაბრიჩევსკიმ შეგვატყობინაო, რომ ჯერ არა მაქვს შედედებული სისხლი დამზადებული, ხოლო რუმ მოგვწერა, ამ დღეებში გამოგიგზავნითო.

ხმ. ექ. შახ-პარონიანცი. შედედებულის სისხლის ტფილისში მომზადება სამხედრო ლაბორატორიის დახმარებით ძალიან ძვირად დაგვიჯდება და შეიძლება ვერც-კი მოვახერხოთ. უმჯობესია ერთი ახალგაზდა ექიმი გავგზავნოთ პარიზში ბ-ნ რუსთან შედედებული სისხლის შემზადების შესასწავლათ. ამ საქმეს სულ 1200 მან. მოუნდება.

ექიმი ავთანდილოვი. არ მესმის, რად მოუწადინია ექიმ შახ-პარინიანცს ექიმის პარიზში გაგზავნა. რა უნდა გაგვიკეთოს იმან და რითი დაგვეხმარება?

ხმ. შახ პარონიანცი. მაშ შენ რად წახვედი ევროპაში ხუნაგის საწინააღმდეგოდ გამოგონილი შედედებული სისხლის გაკეთების შესასწავლად (ხმაურობაა, სიცილი გაისმის.)?

ხმ. იოანისიანი. ექიმმა ლუნკევიჩმა მითხრა ამას წინად, რომ ბევრ ტფილისელ ექიმს შეუძლიან შედედებულის სისხლის მომზადებაო. არ შეგვიძლიან ბ ნს ლუნკევიჩს არ ვერწმუნოთ. პარიზში ექიმის გაგზავნა არავითარს სარგებლობას არ მოგვიტანს: ჩვენი ექიმები იმასთან სასწავლად არ მივლენ. ამას გარდა, რუ იმდენს წამალს გამოგვიგზავნის, რამდენსაც მოვსთხოვთ, და ეს მგონი უფრო იაფადაც დაგვიჯდება.

ხმ. ხუდადოვი, კარგი ექიმი ეხლა ამ საქმისათვის არ წავა პარიზში და გამოუცდელი ახალგაზდა მაინც ვერაფერს შეისწავლის. ან კი რა საჭიროა პარიზში კაცის გაგზავნა, როცა, თუ საჭიროება მოითხოვს, შედედებულ სისხლს აქაური ექიმებიც გააკეთებენ და ევროპის ყველა კუთხეებიდგანაც გამოვიწერთ, როგორც ამ ორის წლის წინად იყო, როცა ტფილისში ხუნაგი მძვინვარებდა.

შახ-პარონიანცმა მოითხოვა, რომ ჩემს წინადადებას უეჭველად კენჭი უყარეთო, მაგრამ საბჭომ მაინც არ შეიწყნარა. ამის შემდეგ ბ-ნ ივანენკომ გამგეობის მოხსენებას ჩამოუტარა ხმა და იგი მიღებულ იქმნა.

შემდეგ მოხსენების მე-16 მუხლი იქმნა წაკითხული და მოწონებული, რომ სადეზინფექციო მასალისთვის 2000 მან. გადაიდვასო.

ექიმი კართანოვი. ღარიბი ხალხი ბნელსა და ნოტიო სარდაფებში სცხოვრობს. საბჭომ უნდა დაადგინოს, რომ შენობების პატრონთ ნება არა ჰქონდეთ ამ სარდაფების გაქირავებისა. დარწმუნებული ვარ, საბჭო უეჭველად შეიწყნარებს ჩემს წინადადებას.

ა. ა. ივანენკო. საბჭო ვერ შეიწყნარებს ამ წინადადებას, რადგან ეს არ შეეხება იმისს მოვალეობას.

ვართანოვი თავისას იმეორებს.

გამგ. წევრი ხოსროევი. ვართანოვს კარგად არა სცოდნია, რა და რა უფლება აქვს ქალაქის თვით-მმართველობას. ვართანოვის წინადადების გასარჩევად იურისტები და მსაჯულები უნდა იქმნან მოწვეულნი.

ა. ა. ივანენკოს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ხმოსანთა შორის ერთი ჩოჩქოლია; რამდენიმე იმათგანი კარებისაკენ წავიდა, ზოგიერთები გზაში გადაელობნენ და უკან დაბრუნეს. ამითი შესწყდა ვართანოვის წინადადების შესახებ სჯა-ბაასი და გამგეობის მოხსენების განხილვასაც მორჩა საბჭო.

---

# უცხოეთი

**გერმანია.** მთელს ევროპაში მხოლოდ მუშები არ იღებენ მონაწილეობას ევროპის საზოგადო კონცერტში. მაშინ, როცა ევროპისათვის ოსმალეთის საქმეთა გარდა დღეს არაფერი არა არსებობს, ჰანბურგის ნავთ-სადგურის მუშები თავგამოდებით იბრძვიან, რომ ცოტა მაინც ადამიანურს უფლებას გამორჩნენ ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონებს და მით მცირედაც არის შეისუმბუქონ აუტანელი მდგომარეობა. როგორც ჟურნალ-გაზეთებიდგან ვიცით, ჰამბურგში დიდი ხანია რაც გაიფიცნენ ნავთ-საყუდელის მუშები და აღკვეთეს მუშაობა. ამ გაფიცებამ ოთხს თვეს გასტანა და რის ვაი-ვაგლახით ეხლა გათავდა. აი რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „Ber. Tagbl“-ი:

„ამ ხანგრძლივმა გაფიცებამ იმდენი სარგებლობა ვერ მოუტანა მუშებს, რამდენიც მოსალოდნელი იყო. მაგრამ იგი ერთობ ბევრს რასმეს ასწავლის მუშებს, რადგანაც ამ გაფიცების დროს მუშებმა საზოგა-

---

ზის წერილის მიღება, რომელშიაც მწერდა, რომ ძალიან გაჯავრებული ვიყავი და იმიტომ დაგიბრუნე ბეჭედიო; თუ მოხვალ და მუხლს მოიხრი ჩემის მშობლების წინაშე, შეიძლება გაპატიონო.

კმარა ამდენი მუხლის მოდრეკა და ბოდიში. პასუხი არ მივწერე. მუხლი მან მოიდრიკოს, ვისაც ჰსურს. თუ უნდა, კაზიმ ოსტშინსკი ითხოვოს, მე ევაც მეყოფა.

სუსლოვსკი ჩემმა მდუმარებამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრა. რამდენსამე დღის შემდეგ მოვიდა ისევ ის მოსამსახურე და მოიტანა კაზის წერილი ეხლა-კი სვიაცეცკის სახელობაზედ.

სვიატეცკიმ გადმომცა წერილი. კაზი სთხოვდა, ერთს წამს მოდით ჩემთან, მინდა იმ ერთი საქმის გამო მოგელაპარაკო, რომლისაგანაც დამოკიდებულია მთელი ჩემი სიცოცხლე, და დარწმუნებული ვარ უარს არ ეტყვით უბედურს დედა-კაცსაო. სვიატეცკიმ შეიგნა, რაღაცა ჩაიბუტბუტა, მაგრამ ბოლოს მაინც წავიდა. მივხვდი, სვიატეცკის შემწეობით უნდოდათ მოვერჯულებინეთ როგორმე.

## XIX

გულ-შემატკივარი სვიატეცკი სრულიად დაიმორჩილეს.

ერთი კვირაა ყოველს დღეს დადის სუსლოვსკისთან, გუშინდელ დღიდგან აღარ მეკარება და შორიდან მგელსავით მიცქერის.

ბოლოს როგორც იყო ჩაის სმის დროს გაჯავრებითა მკითხა:

— რა პასუხს აძლევო იმ ქალს?

— რომელს ქალს?

— სუსლოვსკის ქალს.

— არაფერს, რა პასუხი უნდა მივცე?

მცირე ხანს გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო:

— მთელი დღე ჰზის და სტირის, კაცს შეებრალება.

რა გულ-კეთილი ადამიანია!

სვიატეცკის ხმაზედ აღელვება დაეტყო, მაგრამ მხოლოდ ფშვინავდა; მერე დაუმატა:

— პატიოსანი კაცი მაგრე როდი მოიქცევა.

— სვიატეცკი, გთხოვ სუსლოვსკის ნუ დაემსგავსები!

— ეგა სჯობია იმის ქალის შეურაცხყოფას.

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს.

— კარგი, ამას იქით თუ გინდა არც ხმას გაგცემ და არც თავს დაგიკრავო.

ამითი გათავდა ჩვენი ბაასი. ამ წუთიდგან ერთმანერთს აღარ ველაპარაკებით, თითქოს ერთმანეთს აღარ ვიცნობთო. ეს მით უფრო სასაცილოა, რომ ერთად ვცხოვრობთ, ერთადა ვსომთ ჩაის და არც ერთს არ მოგვდის აზრი ამ სახლიდგან გადასვლისა.

ჩემი ჯვარის-წერის დღეც ახლოვდება.

„მფრინავ ფურცლების“ საშუალებით მთელმა ვარშავამ შეიტყო ეს ამბავი. ყველა ჩვენს ცქერაშია. მეტადრე ევას საქციელი უკვირთ.

როცა გამოფენაზედ ვიყავით, ხალხი გარს შემოგვეერტყა და გამოსვლა ძლივს მოვახერხეთ.

— ჩემი უცნობი კეთილის-მსურველი კიდევ მიგზავნის წერილს, მაფრთხილებს, ევა თქვენი შესაფერი ქალი არ არისო...

„არა მჯერა, რასაც ამბობენ ევას და ოსტშინკის დამოკიდებულების შესახებაო (მწერს უცნობი კეთილის-მსურველი), მაგრამ თქვენთვის იმისთანა მეუღლეა საჭირო, რომ თქვენს სახელს მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს. ევა-კი თვითონაც არტისტკა ქალია და ამითი, რასაკვირველია, დაფნის გვირგვინთა რიცხვს შეგიმცირებთ“.

სვიატეცკი ისევ დადის სუსლოვსკისთან, მაგრამ ეხლავე ნუგეშინის საცემლად, რადგანაც სუსლოვსკიმ ჩემი სურვილი კარგად შეიტყო. თეატრის მმართველობასა ვთხოვე, დაითხოვეთ-მეთქი ევა უვადოდ.

ევას გაგიჟებით ვუყვარვარ. მთელს დღეს ერთად ვატარებთ. ხატვას ვასწავლი, საქმე კარგად მიდის, მხატვრობა ძალიან მოსწონს.

## XX

ღმერთო მაღალო! რას დაგვცქერი მაღლიდგან? ისეთი ამბებია, რომ ბრძენებსაც არ მოზმანებიათ. ჩვენის ქორწილის წინა დღეს სვიატეცკი მომიახლოვდა, ხელი წამავლო და დაღრეჯით მითხრა:

— ვლადეკ,.. იცი, მე ავკაცობა მინდა ჩავიდინო.

— ძლივს არ ამოიდგი-მეთქი ენა, შევძახე. რა ავკაცობა?

სვიატეცკიმ დედამიწას დაუწყო ცქერა და სთქვა:

— მე, ლოთმა, უნიჭო მღაჯნელმა, ჰკუით მოკლემ, ზნეობით კოტრმა უნდა შევირთო იმისთანა ქალი, როგორიც კაზია?... ეს სწორედ ავკაცობაა!

არა მჯეროდა, მაგრამ მაინც გადავეხვიე სვიატეცკის და ყური აღარ ვათხოვე იმის ხელის კვრას.

ჯვარის-წერა ორის დღის შემდეგ უნდა ყოფილიყო.

## XXI.

გაიარა რამდენიმე თვემ ჩვენის რომში ყოფნის შემდეგ. მე და ევას მშვენიერი წერილი მოგვივიდა: პან ოსტშინსკისა და პანი ელენე ტურკო, primo voto კოლჩანოვსკაიას ქორწილში გვეპატიჟებოდნენ.

ვერ წავედით, რადგანაც ევა ვერ იყო კარგად. ევა მთელი დღე ჰხატავდა და დიდი წარმატებაც დაეტყო. პეშტში მედალი მივიღე. ვიღაც კროატელმა მდიდარმა კაცმა იყიდა ჩემი სურათი,

## XXII.

ვერონაში ვაჟი დაგვებადა.

ევა ამბობს, რომ ამისთანა ბავშვი ჩემს დღეში არ მინახავსო.

მართლა-და საუცხოვო ბავშვია!...

## XXIII

რამდენიმე თვე იქნება, რაც ვარშავაში დავბრუნდით.

მე მშვენიერი სამხატვრო გავმართე.

ოსტშინსკისას ხშირად დავდივართ ხოლმე. იმან თავისი „მფრინავი ფურცელი“ გაყიდა და თავმჯდომარეა იმ საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს უსაქმო მუშთა შორის ქერის „ქამის“ ხმარება გაავრცელოს. წარმოუდგენელია იმის მდიდრული ცხოვრება და ის პატივი, რომლითაც ყველანი ეპყრობიან, იმ მხარზედ ხელს დამკრავს ხოლმე და მეუბნება: „მერე, ჩემო გამაბედნიერებელო!“. ოტსშინსკი ნიჭიერ ლიტერატორებს მფარველობას უწევს; იმის სახლში ორშაბათობით ბევრნი იკრიბებიან.

ელენე ოცნებასავით მშვენიერია. შვილები არა ჰყავთ.

## XXIV.

მიშველეთ, სიცილითა ვკვდები!..

სვიატეცკი დაბრუნდა თავისის ცოლით პარიჟიდგან. კაზი არტისტის ცოლის როლს თამაშობს. თითონ სვიატეცკის აბრეშუმის პერანგი აცვია, თმა გაუკრეჭია და წვერიც ახალს გემოვნებაზედ დაუყენებია. სვიატეცკის თავი არ დაუნებებია „მძოვრების“ ხატისათვის, მაგრამ ჩვენის ცხოვრების სურათებსაცა ჰხატავს. ეს სურათები კარგად ვერ მოსდის, ყოველს სურათს რაღაცა მკვდრის ფერი აძევს.

ერთხელ შევეკითხე, როგორც ძველს ამხანაგს, ბედნიერი ხარ თუ არა ცოლის შერთვით-მეთქი? მიპასუხა: ამისთანა ბედნივრებას ვერც-კი წარმოვიდგენდიო.

მეც ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემს ცოლს ძარღვების სისუსტე რომ არა ჰქონდეს. ერთხელ მომესმა იმისი ტირილი. ვიცი, რადაცა სტირის! საწყალი, თეატრის გამო დარდობს. გაჩუმებულია, მაგრამ დარდობს... პანი ოტშინსკის სურათის ხატვა დავიწყე. ღმერთსა ვფიცავ, მშვენიერი დედა-კაცია! ოსტშინსკის შიშიც არ შემაყენებდა... ევას სიყვარული რომ არა მქონოდა, არ ვიცი... მაგრამ არა, საშინლად მიყვარს ევა, საშინლად!..

კ. ვეზ—ლი.

დოდ საკვირველი გმირული თავ განწირულება და ერთობა გამოიჩინეს. „ყველა ერთისა და ერთი კიდევ ყველასათვის“ აი, ეს სიტყვები წააწერეს თავისს დროშას ჰამბურგის მუშებმა.. ჰამბურგის ნავთ-საყუდლის მუშათა სხვა-და-სხვა ჯგუფები მჭიდროდ შეერთდენ ერთად და მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ერთობა და შეთანხმებული მოქმედება თავისას გაიტანდა და ბრწყინვალე გამარჯვებას მოუპოვებდა გაფიცულებს. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ გაფიცულებს თანაგრძნობა გამოუცხადეს მთელის გერმანიის მუშებმა და ასე წარმოიდგინეთ, გაფიცებულებმა გერმანიის საშუალო კლასის თანაგრძნობაც-კი დაიმსახურეს. სხვა საპოლიტიკო წრეებმა, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ სოციალ-დემოკრატებთან, დიდი შემწეობა აღმოუჩინეს გაფიცულებს და სცდილობდენ საბრძოლველად წაეხალისებიათ ისინი. მაგრამ ამ გაფიცვას მაინც-და-მაინც დიდი არაფერი მიუცია გაფიცულთათვის; პირ-იქით ეს დამარცხებათ უნდა ჩაითვალოს. ყოველი ეს მოხდა არა იმიტომ, რომ გაფიცულებმა ცუდად წაიყვანეს საქმე, არამედ იმიტომ, რომ გერმანიაში ბევრი ბოგანო მუშაა, რომელიც გაფაციცებით ეძებს საქმეს. აი, ამ გარემოებით ისარგებლეს საქმის პატრონებმა და გაფიცულ მუშათა მაგიერად ეს გაჭირვებული მუშები აიყვანეს. როცა გაფიცულებმა ეს დაინახეს, უკანასკნელ კრებაზედ გარდაწყვიტეს ბრძოლის შეწყვეტა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ამ ხანგრძლივმა ბრძოლამ ვერ მოიტანა სასურველი ნაყოფი და ის მცირე უპირატესობა, რაც იმათ ამ გაფიცვით გამოსტაცეს ხელიდგან საქმის პატრონებს, ერთობ მცირეა. საქმის პატრონებმა აღუთქვეს გაფიცულებს, რომ სამუშაო სასყიდლის მომატების საქმეს დაწვრილებით განვიხილავთ და მუშათა დიდის ხნის სურვილს დავაკმაყოფილებთ და ნავთ-საყუდელის ინსპექტორს დავნიშნავთო. აი, ეს არის შედეგი ჰამბურგის ნავთ-სადგურის მუშათა გაფიცვისა, რომელმაც ნოემბრის შუა რიცხვებამდე გასტანა.

—

**კორეია.** იაპონიის გაზეთი „ოსკ. ასახი“ ამბობს, რომ, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან ვიცით, რუსეთსა და კორეიას შორის ხელშეკრულობა დამტკიცდაო. ამ ხელშეკრულობის ძალით, რუსეთი ჰპირდება კორეიას, გარეშე მტრებისაგან დაგიფარავო. ხოლო კორეიას უკისრია რუსეთის მთავრობის დაუკითხავად და ნება დაურთველად არავითარის პირობით არ შევეკვრები გარეშე სახელმწიფოებსაო. „ყოველივე მეცადინეობამ კორეიის დამოუკიდებელ ქვეყნად შექმნისამ ამაოდ ჩაიარაო. აქამდე თუ კორეია ჩინეთის ყურ-მოჭრილი მონა-მსახური იყო, ეხლა რუსეთს უნდა დაემონოსო. როგორ უნდა გავიქცეთ ჩვენ ამ საქმეში? რა საშუალება უნდა ვიღონოთ? პასუხი უნდა მოგვცენ თვით ჩვენმა დიპლომატებმა, რომელთაც ასე ცუდად წაიყვანეს საქმეო!!..

## დამაკვირდი

არასოდეს არ შეუძლიან უბედურება შემამთხვიოს, თუ არ საკუთარ ჩემს თავსა. ბოროტი, რომელსაც მე ვიტან, ჩემშივეა და ჩემითვე და თუ მე ვიტანჯები, ეგ ჩემის საკუთარის თავის ბრალია.

ს. ბერნარდი

***

იცოდე და გახსოვდეს, თუ ადამიანი უბედურია, მიზეზი თვითონ არის, იმიტომ რომ ღმერთმა ყოველი ადამიანი ბედნიერებისათვის გააჩინა და არა იმისათვის, რომ უბედურნი იყვნენ.

ეპიქტეტი

***

მწუხარებისაგან სულელს გაჰკურნავს ხოლმე მარტო დრო-ჟამი და ბრძენს-კი ჰკურნავს ჭკუა-გონება.

ეპიქტეტი

***

ადამიანი, რომელიც წვრილმანებისათვის ჰზრუნავს, სთესს ცუდ-მედიდობას და მგის სასოწარკვეთილებას.

გეტე

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

გერმანიაში ამ იანვარში იდღესასწაულეს ერთის დედა-კაცის დაბადების დღე. იგი დედა-კაცი ცნობილია ტერეზა ტალვის სახელითა. დაიბადა იგი 1797 წ. 30-ს იანვარს პატარა გერმანიის ქალაქში ჰალლეში. ათის წლის ბაშვი იყო, როცა იგი მოიყვანეს პეტერბურგს. ჟუკოვსკი და პუშკინი გაკვირვებულნი იყვნენ თურმე იმის ნიჭიერებითა და ჭკუა-გონებითა. თვითონ დიდებული გეტეც-კი მისი დიდი პატივ-ცემელი შეიქმნა, როცა ტერეზიამ დასწერა თვისი თხზულება სლავიანურ ფილოლოგიის შესახებ და მოიპოვა მით დიდი პატივი მსწავლულთა შორის.

იგი იყო ქალიშვილი პროფესსორ იაკობისა და ბოლოს შეირთო ქრმად ერთი ამერიკელი მეცნიერი ედვარდ რობინსონი, რომლის მეოხებითაც დაუახლოვდა თითქმის ყველა მაშინდელ დროის გამოჩენილს მეცნიერებს. ბევრსა სწერდა და ჰბეჭდავდა მრავალ ფილოლოგიურს ნაკვლევსა, ბევრი პოეტური რამ საკუთარი თუ ნათარგმნი დაწერილია მის მიერ და დაბეჭდილი. მისი პსევდონიმი იყო ტერეზია ტალვი. ხოლო მისი ღვაწლი მარტო ეს წერა-ბეჭვდა არ არის.

იმის ქაღალდებში, რომელიც მის სიკვდილის შემდეგ უპოვიათ, აღმოჩენილა ერთი პროექტი სახელად: „საზოგადოება თავმარხულობისა“. ამ პროექტში იგი ამტკიცებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედაკაცს იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია აღმოსაკვეთად ლოთობისა და სხვა ბიწიერებისა, რომელთაც ადამიანი პირუტყვცხოველამდე ჩამოჰყავთ. მართლადაც, სწორედ ამ მნიშვნელობამ დედა-კაცისამ დაჰბადა ის ცხოველ-მყოფელი მიმართულება დედათა სქესისა, რომელმაც წარმოუდგინა კაცობრიობას საკვირველნი მაგალითნი ჭეშმარიტ დედა-კაცობისა; ხალხის ზნე-ჩვეულების საქმის კეთილად წარმართვისათვის, ხალხის კეთილად გაწვრთნისათვის ათასმა დედა-კაცმა იჩინა თავი თავისის სულგრძელებითა, მხნეობითა, მედგრობითა და თავგანწირვითა.

სწორედ ამ მიმართულებას შესწირა მთელი თვისი სიცოცხლე ტერეზია ტალვიმ. შეიტანა რა ღვაწლი მეცნიერებასა და ლიტერატურაში თავის ნაშრომ-ნაწერითა, რომელთა შორის ბევრია მსწავლულთაგან ძვირფასად ცნობილი, კიდევ ჰპოულობდა ღონეს ემსახურნა ადამიანისათვის საქმიანობითა და ცხოველის სიყვარულითა. სიკვდილამდე ესა ჰქონდა დევიზად: „ქვეყანაზე ყოველისფერი წარმავალია, მხოლოდ მარტო ერთი სიყვარული-ღა დარჩება საუკუნოდ“.

რაკი დედა-კაცებზე დავიწყეთ ლაპარაკი, არ იქნება მეტი მოვიხსენიოთ სხვა წარმომადგენელნიც ამ მშვენიერ სქესისა, რომელნიც დღეს მოქმედებენ თავისს სასახელოდ და ქვეყნის სასიკეთოდ. ინგლისში დღეს ორი ამისთანა სახელოვანი დედა-კაცია, რომელნიც დღეს დედათა საქმის სათავეში დგანან და იბრძვიან მოუსვენრად. ერთია გრაფინია აბერდინი და მეორე ლედი სომერსეტი. ორნივ უმაღლესს დიდ-კაცობას ეკუთვნიან ინგლისში.

გრაფინია აბერდინი, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტმა მიიწვია სიტყვის წარმოსათქმელად, როცა სადღესასწაულო აქტი ჰქონდა, თავისის ნიჭიერებით და მაღალზნეობით მეტის-მეტად თვალ-საჩინო დედა-კაცია ინგლისში. ჯერ ყრმობითვე იგი თავდადებული იყო სამადლო საქმეთათვის: თავისის მამის ლორდ ტვიდმოუტის ხიზნების შვილებს ასწავლიდა და სწყრთვნიდა. მერე შეადგინა საზოგადოება, რომელსაც საგნადა აქვს ზნეობით და გონებით აღამაღლოს ხელზე-მოსამსახურენი. დღეს ამ საზოგადოებას ცხრა ათასი მეტი წევრი ჰყავს და თავისი საკუთარი გაზეთი აქვს, რედაქტორად თვით გრაფინია აბერდინია. თითქმის არ არის არც ერთი სამადლო დაწესებულება, რომ მას მონაწილეობა არა ჰქონდეს მიღებული. როცა მისი მეუღლე ირლანდიის ვიცე-კოროლად იყო, მაშინ გრაფინიამ შეადგინა ერთი საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს ღარიბ გლეხობას შემწეობა აღმოუჩინოს იმით, რომ გლეხის ჯალაბობას ასწავლოს სხვა-და-სხვა ხელთსაქმე.

გრაფინია აბერდინი რამდენისამე წლის განმავლობაში ცხარე მონაწილე იყო „დედათა ლიბერალურ ფედერაციისა,“ მას მერმედ, როცა გლადსტონის მეუღლე ამ საზოგადოების ხელმძღვანელობას დაეთხოვა. ეს დაუღალავი მოღვაწე დღეს კანადაშია, სადაც მისი ქმარი გენერალ გუბერნატორად არის. გრაფინიას თაოსნობით ამერიკაში შესდგა: „საერთა შორისო საბჭო დედათა.“ გრაფინიას წმიდა-წმიდა გამოთქმულია ერთს მის სიტყვაში ამ სახით: „ჩვენი დედები, დიდი-დედები და ბაბუები იქცეოდნენ ისე, როგორც იმ დროს და იმათს მაშინდელს აზრს შეეფერებოდა. თუ სასურველია, რომ მათი ღირსეული მემკვიდრენი ვიყვნეთ, იმათი გამონაცადი უნდა გამოვიყენოთ და ვეცადნეთ ჩვენმა მოქმედებამ უფრო უკეთესი ნაყოფი მოიტანოს. ქვეყანაზე ყოველივე წინ მიდის, წარმატებაში შედის, ყოველივე უკეთესდება და უმჯობესდება. სწავლა-განათლება თავისს საქმეს აკეთებს. ჩვენც მივუხვდით და გავიგეთ, რომ ჩვენი მოვალეობა მარტო ლუკმა პურის მიწვდა არ არის ღარიბთა და უბედურთათვის. ცუდი და ნაკლული აღზრდა ათასს მსხვერპლს იწირავს ღარიბ ხალხისას. ამათთვის ამ მხრითაც უნდა ვიზრუნოთ და ვიფიქროთ. უნდა შევეჭიდნეთ ამაოთ მორწმუნოებას, ცდომილს სოციალურს მოძღვრებას. ჩვენი საქმე ის უნდა იყოს, რომ ვიპოვოთ, აღმოვაჩინოთ მიზეზნი სიღარიბისა და ავ-კაცობისა. ჩვენ უნდა ჩვენის მხრით, ყოველივე ღონე ვიხმაროთ, რომ თუ ბოროტს ძირიანად არ აღმოვფხვრით, შევაყენოთ მაინც, რომ უფრო არ გაძლიერდეს.

„ეს საქმე გარდაკეთების, სოციალურ რეფორმის საქმეა. სოციალური რეფორმა ყოველ იმ დედა-კაცის ხელშია, რომელსაც აქვს ჭკუა, გონება და გული. ჭეშმარიტი დანიშნულება დედა-კაცისა, მარტო ის-კი არის, რომ საზოგადოებას მიაწოდოს უმაღლესნი იდეები და სულ-გრძელოვანი დედააზრი, არამედ ისიც, რომ კეთილ-მყოფელი ზედ-მოქმედება იქონიოს ზნეობაზედ და თვით სოციალურ ცხოვრების წესსა და რიგის დადგინებაზე. ბედნიერია ის ქვეყანა, რომლის ქალის-შვილთა გაუგიათ და უწყიან, რომ ეს პატიოსანი საქმე იმათი მოვალეობაა და რომელთათვისაც ღმერთს მიუნიჭებია უმაღლესი ვაჟ-კაცობა—შესწირონ თავიანთი თავი მას, რომ გამარჯვებულ იქმნას სიმართლე, კანონის წინაშე თანასწორობა, მართლ-მსაჯულება ყველგან და ყველასათვის—მდიდარია, თუ ღარიბი, დიდია თუ პატარა, დედა-კაცია, თუ მამა-კაცი.

„ჩვენ ყოველთვის აუარებელი შემთხვევა გვაქვს ვიყვნეთ სასარგებლონი და კეთილის მყოფელნი. ნუ შევუშინდებით, თუ წინ მრავალი დაბრკოლება გადაგვიღობავს გზასა. საკმაო არ არის მარტო ქადაგება აზრისა: მტერს ჩვენსას იარაღი უნდა დავაყრევინოთ. ზედ-მოსევა და შუღლი, რომელთაც ჩვენ უნდა ვძლიოთ, თუმცა ძნელ იასაცილებელნი არიან, მაგრამ მაინც იმისთანანი არ არიან, რომ დაძლეულ არ იქმნან. მაშ შევუტიოთ ვაჟ-კაცურად, შევიმოსოთ იარაღი და მაშინ „დეე სთქვან ის, რაც ჰნებავდეთ?“ (ლ. და Н. В.)

—+—

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

8 თებერვალი

**პარიზი.** ლათინთა უბანში სალამოს სტუდენტებმა მანიფესტაცია გამართეს საბერძნეთის სასარგებლოდ. შემდეგ მანმარტრის ბულვარზედ რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. დატუსაღებული ბევრია.

**ვენა.** „ფრემდენბლატტი“ ამბობს, რომ კრიტის შესახებ ორი დედააზრი უნდა იქმნას დაცული და დიდმა სახელმწიფოებმაც ამ დედააზრთ დაუჭირონ მხარი: 1) ბალკანეთის არც ერთს სახელმწიფოს უფლება არ უნდა ჰქონდეს თავისის სურვილისამებრ აღძრას აღმოსავლეთის საქმე; 2) იმ ადგილებშია. რომლებიც დიდმა სახელმწიფოებმა დაიჭირა, წინანდებური არეულ-დარეულობა, წეს-რიგი მართვა-გამგეობისა აღარ უნდა განმეორდესო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 194 ხმით 43-ის წინააღმდეგ მეორე წაკითხვის შემდეგ შეიწყნარა კანონ-პროექტი სამხედრო ციხე-სიმაგრეთა და გემ-ხომალდთა აგებისა.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ კანეიდგან: „კაპიტანმა ანფიტმ შეუთვალა საბერძნეთის კონსულს, რომ თუ საბერძნეთის დროშა „გაშლილ იქმნა საელჩოს შენობაზედ, ზღვის ჯარი ჩამოხსნისო“.

**ლონდონი.** პარლამენტის წევრის ბრაინის თავმჯდომარეობით ღამე კრება შესდგა კრიტის საბერძნეთთან შეერთების შესახებ. ამ კრებას პარლამენტის მრავალი წევრი დაესწრო, საბერძნეთის რწმუნებული და ბერძენთა ახალშენის წევრნი.

**კონსტანტინეპოლი.** დიდ სახელმწიფოთა თანხმობით ყარათეოდორი-ფაშა კრიტის გენერალ-გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

**კონსტანტინეპოლი.** გემების საომრად მზადებამ აღმოაჩინა, რომ ოსმალეთის ფლოტი ისეთს ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, რომ სამხედრო და საერო წრეები დიდად აღელვებულნი არიან. დიდი ხარჯია საჭირო და რამდენიმე კვირის გარდა, რომ საუკეთესო გემები სამხედროდ მომზადდესო.

მანასტირისა და იანინის გენერალ-გუბერნატორები იუწყებიან, რომ ალბანელები თხოულობენ, მოგვეცით იარაღი და საზღვრებზე დაგვაყენეთო; თუ იმათი სურვილი დაკმაყოფილებული არ იქმნა, არეულობის შიში უნდა გვქონდესო.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის ორივე დელეგატები ისევე მიიღებენ მონაწილეობას იმ კამისიაში, რომელმაც კრიტის ჟანდარმერიაში შემოსაღები ცვლილებანი უნდა შეამუშაოს. კრიტის ჟანდართა რაზმისთვის მოგროვილი 80 ჩერნოგორელი კრიტში დარჩებიან.

**ათინა.** მინისტრ-პრეზიდენტმა პალატაში კანონ-პროექტი შეიტანა იმის შესახებ, რომ კრიტში საბერძნეთის საელჩონი გაუქმდეს და 1890—1892 წლის სათადარიგო ჯარის კაცნი იქმნენ მოწოდებულნიო.

**კანეია.** საბერძნეთის კონსულის მიერ გამოგზავნილ იმ ცნობის პასუხად, რომ პოლკოვნიკი ვასსოსი ხალხს იწვევს და ჰქადაგებს კრიტი საბერძნეთს შეუერთოთო, უცხო სახელმწიფოთა კონსულებმა საერთო წერილში განაცხადეს: „ჩვენ ჩვენის მთავრობისაგან დავალებულნი არა ვართ ეს ამბავი საყურადღებოდ მივიღეთო.“

სელინოდგან მოსულმა გემმა, რომელმაც 19 დაჭრილი კაცი მოიყვანა, ამბავი რომ მოიტანა სელინოში 125 მაჰმადიანი მოკლული და მრავალ ქრისტიანეთა ოჯახს მაჰმადიანები გარს არტყიანო. ადმირალმა დაადგინა იმათ გასათავისუფლებლად სელინოში ჯავშნიანის გემით რუსეთისა, ინგლისისა და იტალიის კონსულები იქმნან გაგზავნილიო.

### ნ ი ხ რ ი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ღროის ხორცი 1 ხარისხისა უძვალოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.

სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „

ცხვრის ხორცი უძვალოდ 1 გირვანქა . . . . . . . 8 „

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძმათა კლიუჩაროვების სეული უძრავი მამული ქალაქ ბათუმში, სმეკალოვისა და კომაროვის ქუჩების მოსახვევში, რომელიც ბანკს დარჩა. ეს მამული შეიცავს ხუთ სხვა-და-სხვა გვარ შენობას და 300 ოთხკუთხ საჟენ მიწას. ვაჭრობა დაიწყება 21.790 მ. და 05 კაპეიკიდგან. ამ ფულში ირიცხება თავნი ვალი ბანკისა—18.054 მ. 34 კ., ვადით ყოველ ექვს თვიური გადასახადი 641 მ. 25 კაპ. რაც მყიდველს შეუძლიან ვალადვე გადაიტანოს თავისს სახელობაზედ, დანარჩენი ფული-კი, 2351 მ. 45 კ. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ზემოხსენებულ ამულის ყიდვის დროს. ამ მამულის ყიდვის მსურველთ პირობებისა და დაწვრილებითი ცნობების შესატყობლად შეუძლიანთ მიჰმართოთ თვით ბანკის გამგეობას პირადად ან წერილით. (3—6—2)